საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

16/05/2023
N 861

861-09-02-11-3-202305161723

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/47, 13.04.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 16 მაისის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/47, 13.04.2023).

I. კანონპროექტის ძირითადი არსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში 2020 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, უმაღლესი საბჭოს მომდევნო ყველა არჩევნები ჩატარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით, რაც ნიშნავს რომ უმაღლესი საბჭოს 21-ვე წევრის არჩევა მოხდება მხოლოდ პარტიული სიების საფუძველზე.

აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებიდან გამომდინარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით უნდა გაიწეროს თუ რა პრინციპით მოხდება მანდატების განაწილება.

ინიციირებული კანონპროექტით შემოთავაზებულია მანდატების განაწილება ე.წ. დონტის მეთოდით, რომელიც მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის მიღების ერთ-ერთ მიზეზს ასევე წარმოადგენს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელებას. კერძოდ, ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება - თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანში, ასევე ცესკოს მიერ განსაზღვრულ საარჩევნო უბნებში.

იმისათვის, რომ აღნიშნული ელექტრონული საშუალებებით შესაძლებელი იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

კანონის პროექტით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ცალკეული საკითხები, ერთიან საარჩევნო მიდგომებთან ჰარმონიზაციის მიზნით რეგულირდება ახლებურად.

II. კანონის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ კანონპროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) შენიშვნები არ არის წარმოდგენილი. კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, კანონპროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. კანონის პროექტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე